წესები და პირობები

მოვაჭრის დასახელება: შპს „მაქს დრაივი“
საიდენტიფიკაციო კოდი: 400130498
მისამართი: ქ. თბილისი, პეკინის ქ. N27
ტელეფონი: 574 07 30 41
ელ. ფოსტა: maxdrive27@gmail.com

საგარანტიო პირობები

- მოვაჭრე ვალდებულია, მომხმარებელს გაუწიოს მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისი მომსახურება.

- მომხმარებელმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გადაცილების ან ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში მოვაჭრეს უნდა განუსაზღვროს მომსახურების გაწევის/ნაკლის აღმოფხვრის გონივრული დამატებითი ვადა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს, მომსახურების ბუნებიდან გამომდინარე, შეუძლებელია ან არათანაზომიერ ან შეუსაბამოდ დიდ ხარჯს მოითხოვს.

- დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში მომხმარებელს უფლება აქვს:

    - მოვაჭრის ხარჯით მომსახურების გაწევა ან ნაკლის აღმოფხვრა სხვა პირს შესთავაზოს;
    - მოითხოვოს მომსახურების ფასის ადეკვატური შემცირება;
    - უარი თქვას ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

- დამატებითი ვადის განსაზღვრა სავალდებულო არ არის, თუ აშკარაა, რომ ამას არავითარი შედეგი არ ექნება, ან მომხმარებელმა ხელშეკრულების შესრულება მომსახურების დროულად მიღებას დაუკავშირა.

- თუ მოვაჭრემ დროულად არ დაიწყო მომსახურების გაწევა ან მომსახურების პროცესი უსაფუძვლოდ ჭიანურდება, რაც მომსახურების დათქმულ ვადაში გაწევას შეუძლებელს ხდის, მოვაჭრეს არ აქვს უფლება, მოითხოვოს მომსახურების პროცესში გაწეული ხარჯების ანაზღაურება, აგრეთვე გაწეული მომსახურების საზღაური, თუ მომხმარებელმა ხელშეკრულების ნაწილობრივი შესრულებისადმი ინტერესი დაკარგა.

- მომხმარებელს უფლება აქვს, ისარგებლოს ზემოხსენებული უფლებებით, მომსახურების მიღებიდან 2 წლის განმავლობაში.

დისტანციური ხელშეკრულება

- დისტანციური ნასყიდობის ხელშეკრულება დადებულად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როცა მხარეთა შორის გაფორმდება მომსახურების ხელშეკრულება.

- მხარეებისათვის სავალდებულოდ შესასრულებელი იქნება წესებისა და პირობების, მათ შორის, დისტანციური ნასყიდობის ხელშეკრულების ის ვერსია, რომელიც მოქმედებს დისტანციური ნასყიდობის ხელშეკრულების დადების დროს.

- დისტანციური ნასყიდობის ხელშეკრულება იდება განსაზღვრული ვადით და მოქმედებს მხარეთა მიერ ამ დისტანციური ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

დისტანციურ ხელშეკრულებაზე უპირობოდ უარის თქმა

- მომხმარებელს უფლება აქვს, ყოველგვარი საფუძვლის მითითების გარეშე თქვას უარი დისტანციურ ხელშეკრულებაზე, მომსახურების შეძენიდან 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში.

- მოვაჭრე ვალდებულია 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში, უკან დაუბრუნოს მომხმარებელს მის მიერ გადახდილი თანხა.

- თანხის ანაზღაურება მოხდება გადახდის იმავე საშუალებებით, რომლებიც მომხმარებელმა გამოიყენა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მომხმარებელი გადახდის სხვა საშუალების გამოყენებაზე თანხმობას განაცხადებს.

- მომხმარებლის მიერ დისტანციურ ხელშეკრულებაზე უარის თქმა ავტომატურად იწვევს დაკავშირებული ხელშეკრულებიდან მის გასვლას და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას.

- ხელშეკრულებაზე უარის თქმის შედეგად ქარწყლდება მხარეების მიერ დისტანციური ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, ხოლო ის, რაც მხარეებმა მისი შესრულებით მიიღეს, მათ უბრუნდებათ.

- მომხმარებელს არ აქვს უფლება, უპირობოდ უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ მოვაჭრემ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება სრულად გასწია, მან მომსახურების გაწევა მომხმარებლის წინასწარი თანხმობით დაიწყო და მომხმარებელმა იცოდა, რომ მომსახურების სრულად მიღების შემთხვევაში დაკარგავდა ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას.